ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3530690

ნომერი: AR1513399

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 29.09.2017

გაცნობის თარიღი : 04.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N37-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 ივნისს AR1513399 განცხადებით მომართა კახაბერ ლაბაძემ, რომელმაც მოითხოვა ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ბრძანებით ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილის, N37-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.008, ფართობი: 2386კვ,მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა ქალაქმშენებლობითი პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 10 სექტემბრის №1471340 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო მონაცემები: (საკადასტრო კოდი: #01.14.06.007.047, ფართობი: 2364,00 კვ.მ) ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად (აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია), კერძოდ, საკადასტრო კოდად: N01.14.06.007.083 და ფართობად: 2974-ის დაფიქსირებას, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.083, ფართობი: 2974კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017149879, თარიღი:09/03/2017)
2. ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებში დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის25 სექტემბრის ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 2 მაისის #4167 ქალაქმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.